TEZAUR LITURGIC

7 MAI

ACATISTUL SF.13 CUVIOŞI DIN GEORGIA

TBILISI,2000

დაუჯდომელი წმიდა ცამეტი ასურელი მამისა

კონდაკი 1

ღმრთისა სიტყჳთა აღკუართულნო მოღუაწენო განმარჯჳებულნო, სახარულევანთა თქუენთა ჴსენებათა მედღესასწაულენი, თქუენ, აზნაურებადისა რჩეულისა მეჴმეთა, ესრეთ გიგალობთ: გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა წყურიელთა მესათხევლენო და საკჳრველისა მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო, წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

იკოსი 1

პირველთა მათ დიდთა მონაზონთა თანამოკარვენო, უღმრთოებისა ღუარნი ღმრთისმოძღურებითა განაჴმენით და საცთურთა საჴმილსა შინა გვაცურიენით ჩუენ ღუარნი საშუებელისანი; ამისთჳსცა აღიძვრიან გონებათა ჩუენთა ორღანონი თქუენდა ჴმოვანებად ესრეთ:

გიხაროდენ, ათორმეტთა მოწაფეთა შენთა წინამძღუარო უცთომელო და ზედაზნისა თუალო ზეხილულო იოანე;

გიხაროდენ, ნეკრესისა ცისკროვანებაო აბიბოს;
გიხაროდენ, მარტომყოფელობითა წმიდათა
სიმრავლესა შერთულო ანტონ;
გიხაროდენ, გარეჯისა უდაბნოჲსა მწყურნებად
გარდამაქცეველო დავით;
გიხაროდენ, იყალთოჲსა შუენებაო ზენონ;
გიხაროდენ, სტეფანწმიდისა ახოვანებაო თადეოზ;
გიხაროდენ, წილკნისა კეთილჴმოვანებაო ისე;
გიხაროდენ, ალავერდისა ფრთოვანებაო იოსებ;
გიხაროდენ, სამთავისისა ელვარებაო ისიდორე;
გიხაროდენ, ულუმბოჲსა ბრწყინვალებაო მიქაელ;
გიხაროდენ, ბრეთისა ნესტუო ჴმოვანო პიროს;
გიხაროდენ, ხირსისა მამაო ღმრთეებრივო სტეფანე;
გიხაროდენ, მღჳმითგან ცათა მიმართ აღსრულო შიო;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკჳრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 2

განუძღომელისა სერისა მექორწინენო და სიბრძნისა
ტაკუკთა აღმავსებელნო, იწნიხა ტევანთა თქუენთაგან
წარუვალისა ცხორებისა სიტკბოებაჲ: ალილუია.

იკოსი 2

ნებსითსა სიმდაბლესა შედგომილნო, უოხჭნოჲსა საფასისა მიმართ აღშურვებულნი თქუენ, საღმრთოჲსა სრბისა მასწავლელთა, ესრეთ გადიდებთ:

გიხაროდენ, ნათლისა მეცნიერებითა ცხორებულნო:
გიხაროდენ, სასუფეველისა ქადაგნო:
გიხაროდენ, სამოციქულოჲსა სიტყჳსა
გამომთარგმნელნო;
გიხაროდენ, უხილავთა ბრძოლათა სპარაზენნო;
გიხაროდენ, მაცხოვნებელთა ნიჭთა მეუნჯენო;
გიხაროდენ, სათნოებათა მოქმედნო;
გიხაროდენ, ფიცარნო სჯულისანო;
გიხაროდენ, განგოზილთა სიტყჳერთა საფლავთა
განმხეთქელნო;
გიხაროდენ, ჩვენთა ქენებათა მიმქუმელნო;
გიხაროდენ, თჳთმფლობელობისა სახენო;
გიხაროდენ, რამეთუ არა სთნდეს უფალსა
სხჳლბარკალნი მამაკაცისანი;
გიხაროდენ, რამეთუ სთნდეს უფალსა მოშიშნი მისნი
და რომელნი ესვენ წყალობათა მისთა;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკჳრველისა
მონაზონებისა ზეაღმხილველნო საჭურეტელნო,
წმოდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 3

ცეცხლოანსა სუეტსა შეკერტებულმან სჳმეონმან სათნოებათა უფსკრულთაგან აღმოგიწოდათ თქუენ ივერიისა ბრწყინვალედ: ალილუია.

იკოსი 3

ერთღმრთეებისა მგალობელნო და მართლისა სარწმუნოებისა საყჳრნო, რომელთა მიმართ კეთილად ღაღადებენ უდაბნონი, ესევითართა მეფსალმუნეთა მობაძავნი, ჩუენცა დიდებისჳმეტყველებთ:

გიხაროდენ, სუეტნო სარწმუნოებისანო;
გიხაროდებ, ცხოველსა ლოდსა ზედა აღშენებულნო ტაძარნო;
გიხაროდენ, სიწრფოებისა კრებულნო უვრცელესნო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტისა მარტომყოფობისა საცნაურმყოფელნო;
გიხაროდენ, მაღლოანისა ლიმონარისა მომფუტკრებელნო;
გიხაროდენ, საღმრთოთა ხილვათა ღირს-ქმნილნო;
გიხაროდენ, დაუწყუედელნო სიტკბოებანო;
გიხაროდენ, განუგრილებელნო სიტფოებანო;
გიხაროდენ, წმიდათა თანა მოხარულნო;
გიხაროდენ, ცრემლოანთა ნუგეშინისმცემელნო;
გიხაროდენ, მადლისა სიტყჳსა მომთხრობელნო;

გიხაროდენ, მამანო სასწაულთმოქმედნო;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკვრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 4

ფსალმუნთა და ებნითა ფიცხელთა უდაბნოთა
განმაშუენებელნო, ცათა შინა აღბეჭდულან ორნატნი
თქუენისა კეთილმოღუაწებისანი: ალილუია.

იკოსი 4

მამანო საწადელნო და საძნაურთა სამუშაკოთა
მუშაკნო, რომელთაგან მოწეულსა ხუავსა საღმრთოსა
მივემთხევით დღეს, დაუცალიერებელისა ტაბლისა
მეძიებელნი, თქუენ, უხრწნელისა სასუმელისა
მწდეთა ღმრთისმიერთა, ესრეთ გადიდებთ:

გიხაროდენ, ჯორცითა განკაფულნო;
გიხაროდენ, სულითა განბრწყინვებულნო;
გიხაროდენ, სიჩჩოდთ თქუენით ღმერთშემოსილნო;
გიხაროდენ, ქრისტეს სურვილითა აღზრდილნო;
გიხაროდენ, ჭურნო ღმრთისანო;
გიხაროდენ, კრულებათა ჩუენთა დამჯსნელნო;
გიხაროდენ, საბრჯხეთაგან ფერჯთა ჩუენთა

განმარინებელნო;
გიხაროდენ, ცათაგან დამოდინებულნო
სულნელებანო;
გიხაროდენ, უნაყოფოთა შვილიერებანო;
გიხაროდენ, პყროგილთა აზნაურებანო;
გიხაროდენ, დაცემულთა აღმართებანო;
გიხაროდენ, სნეულთა კურნებანო;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკვრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმოდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 5

სულიერისა მწყერმარჯილისა აღმომაცენებელნო და
ზეცად აღსვლისა მესიტყუენო, სიტყვერითა პურითა
განგვაძღეთ ჩუენ, საწუთოჲსა სიყმილითა
შეიწრებულნი: ალილუია.

იკოსი 5

მოლოდებადთა საფასეთა წინაჲსწარმეტყველნო,
რომელნი დღე-ყოველ განაბრწყინვებთ საცნობელთა
ჩუენთა, შიშითა და სიყუარულითა თქუენდა ქებად
შემოკრებულნი ესრეთ გკმოვანებთ:

გიხაროდენ, მაღალსა მას ცხორებასა მიწევნულნო;
გიხაროდენ, ღმრთისმიერითა გონებითა
აღორძინებულნო;
გიხაროდენ, უდაბნოთა მცხინვარებითა შემწვარნო;
გიხაროდენ, იესოს ჯსენებითა განგრილებულნო;
გიხაროდენ, სულითა წმიდითა მეტყუელნო;
გიხაროდენ, ბუნებისა წესთა მძლეველნო;
გიხაროდენ, ჰაერსა ზედა ნეტარებისასა
აღფრინვებულნო;
გიხაროდენ, ტევანნო მაღლისა ვენახისაო;
გიხაროდენ, ბრწყინვალებითა თქუენითა მზის
ნათლისა უაღრესნო;
გიხაროდენ, ყოვლისა სოფლისა სიხარულნო;
გიხაროდენ, რომელნი გალობითა აღიზარდენით,
ვიდრეღა სძითა;
გიხაროდენ, რომელნი სიფიცხეთა ჰაერთასა ზეშთა
ექმენით;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკჳრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 6

აჰა ესერა, ქრისტეანენო სიძისა მიგებებად აღმსთობილნი ქალწულნი გონიერნი, რომელთათჳსცა არა დავსცხრეთ მეტყუელებად: ალილუია.

იკოსი 6

საღმრთოთა ნიჭთა სამკჳდრებელნო და უოხჭნოჲსა დიდებისა ზიარ-ქმნილნო, გარდარეულისა მის ნათლისა ძალთაებრ ჩუენთა მძნობელნი ესრეთ გჳმოვანებთ:

გიხაროდენ, ღუაწლისა საჳმილსა ნებსით შესრულნო;
გიხაროდენ, საჳმილსა მას შინა ღმრთისა მადლითა შეცურეულნო;
გიხაროდენ, მონაზონნო ღმრთისმეტყუელნო;
გიხაროდენ, უდაბნოთა ყვავილოვნებანო;
გიხაროდენ, მაღნარნო კურთხევისანო;
გიხაროდენ, ზატიკნო ეკლესიისანო;
გიხაროდენ, პირველთა მათ მეუდაბნოეთა მესენაკენო;
გიხაროდენ, დღესასწაულნო წარუვალნო;
გიხაროდენ, სათნოებისა ბჭენო განჳმულნო;
გიხაროდენ, მრავალთა სულთა დამამტკიცებელნო;
გიხაროდენ, ქრისტეანეთა საჭურველნო;
გიხაროდენ, მარადის სანატრელნო მოღუაწენო;

გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა წყურიელთა მესათხევლენო და საკვრველისა მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო, წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 7

საღმრთოდთა გლოვითა ნეტარ-ქმნულთა, რომელთაგან მონაყოფებულსა სულიერსა საგლახაკოსა დაიუნჯებენ აწ ქუეყანასა ზედა სიმდაბლისა მეწინწილენი, დაუცხრომელითა ჴმითა გიღაღადებთ: ალილუია.

იკოსი 7

განუცდელთა სიმაღლეთა მეტრფენო და თანანერგნო ქრისტესმიერნო, თქუენთა რტოგარდაფენილთა მცენარებათა მჭურეტელნი ესრეთ გადიდებთ:

გიხაროდენ, საღმრთოდსა ცხორებისა მახარებელნო;
გიხაროდენ, ქრისტეს საიდუმლოთა გამომთქუმელნო;
გიხაროდენ, კეთილსწავლულებისა ლიმონარნო;
გიხაროდენ, ღმრთისმსახურებისა საკვრველისა ხუავისა დამაუნჯებელნო;
გიხაროდენ, მდინარენო საშუებელისანო;
გიხაროდენ, მომკუდართა გონებათა ჩუენთა განმაცხოველებელნო;

გიხაროდენ, უტყუთა გონიერ-მყოფელნო;
გიხაროდენ, ცხორებისა სიტყჳსა ყანობირნო;
გიხაროდენ, ბორგნეულთა ზრახვათა აღმჴოცველნო;
გიხაროდენ, საცთურისა სიცბილთა განმაქიქებელნო;
გიხაროდენ, რამეთუ განხადეთ უმეცრებისა ბნელი;
გიხაროდენ, რამეთუ ახოვანითა მოღუაწებითა
დააკვეთეთ მანქანებაჲ ბელიარისა;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკჳრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 8

სოფლისა კიდეთა ნათელნო, საწუთოჲსა ბნელისაგან
დამწუხრებულნი ესე თუალნი განგჳვენით ჩუენ
შემოქმედისა ხედვად: ალილუია.

იკოსი 8

პირნო ღმრთისანო, ორღანონო სულისა წმიდისანო,
ძლევისა გალობისა მგალობელთა მაღლისა მამულისა
მემუსიკენი ესრეთ გიგალობთ:

გიხაროდენ, ნესტუნო ღმრთივდაბერილნო;
გიხაროდენ, თქუენდა უწყებულთა მასწავლელნო;
გიხაროდენ, ქრისტეს სუფევისა მეჴმენო;

გიხაროდენ, ღმერთშემოსილთა თუალნო;
გიხაროდენ, კლდესა ზედა დაშენებულნო პალატნო;
გიხაროდენ, საღმრთოჲსა სულისა
კითილადდამმარხველნო;
გიხაროდენ, ყოფადთა მცნობელნო;
გიხაროდენ, მონაზონებისა წესისა გამომეტყუელნო;
გიხაროდენ, სარბიელთა თქუენთა სრულმყოფელნო;
გიხაროდენ, ცხოველთა წყალთაგან აღსავსენო;
გიხაროდენ, ღმრთისა მადლითა მძლავრისა მის
მძლეველნო;
გიხაროდენ, უღმრთოებისა ნისლისა წარმდევნელნო;
გიხაროდენ, ქუაბთაშინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკჳრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 9

ცეცხლითა სულისაჲთა სოფლისა ეკალთა
შემწუელნო, დასწუენით ჩუენთაცა ცთომათა ეკალნი
წარმწყმედელნი: ალილუია.

იკოსი 9

საუკუნოჲსა ცხორებისა წინამძღუარნო, რომელთაგან
დიან წყარონი ცხორებისანი, თანაწარსადინელსა მას

სულიერსა წყალთასა დაგვნერგენით ჩუენ,
ღმრთივჩინებულნი მცენარენი, მჴმობელნი ესრეთ:

გიხაროდენ, მხიარულისა ნათლისა მსახურნო;
გიხაროდენ, ნაყოფთუხუნო მწუანვილოვანნო;
გიხაროდენ, მრავალთა შინა გუამთა ერთისა გონებისა
მქონებელნო;
გიხაროდენ, ყოველთა ბრალეულთა თავსმდებნო;
გიხაროდენ, ჩუენდა მეოხებად აღძრულნო;
გიხაროდენ, დღე-ყოველ მოწამებრივითა ცხორებითა
ცხორებულნო;
გიხაროდენ, უპოვარებითა განმდიდრებულნო;
გიხაროდენ, უჴამურობითა ფერჴთშესხმულნო;
გიხაროდენ, ღმრთისა სახელისა მაკურთხეველნო;
გიხაროდენ, მეგჴპტურისა ბრძნობისა განმხეთქელნო;
გიხაროდენ, რომელთა გონიერის მზისა მოფენითა
განვლეთ ღამე უღმრთოებისა;
გიხაროდენ, რომელთათჴსცა ზეცისა ძალნი
განკჴრდებიან;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკჴრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 10

განფიცხებულთა გონებათა ჩუენთა მჴვნელნო ღმრთეებრივნო, აწ ქუეყანასა ზედა აღმორჩეულან ღუაწლთა თქუენთაგან აღმოდაბადებულნი მწუანვილოვნებანი: ალილუია.

იკოსი 10

ზეცისა გონებათა სასუფეველით გამოსრულთა სულნელთა, ღმრთისა წმიდათა დიდებისმეტყუელნი, ესრეთ ვადიდებთ:

გიხაროდენ, საკჳრველისა მძლეევარისა მობაძავნო;
გიხაროდენ, მღვდელნო საღმრთონო;
გიხაროდენ, სიჩჩოდთგან ღმრთისა შეწირულნო;
გიხაროდენ, სიტყჳერთა მსხუერპლთა ზედა ზეგარდამოდსა ცეცხლისა გარდმომყვანებელნო;
გიხაროდენ, მაცხოვნებელთა ნიჭთა მდიდრად შემწნარებელნო;
გიხაროდენ, სათნოებათაგან სოფლისა აღმავსებელნო;
გიხაროდენ, მუშაკნო ღუაწლმრავალნო;
გიხაროდენ, სძალისა უსძლოდსა მგალობელნო;
გიხაროდენ, ერთითა პირითა და ერთითა გონებითა ღმრთისა მადიდებელნო;
გიხაროდენ, თუალნო პატიოსანნო;
გიხაროდენ, სიბრძნისმოყურენო ჭეშმარიტნო;

გიხაროდენ, სულითა წმიდითა ფრთოვანქმნილნო;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა
წყურიელთა მესათხევლენო და საკვრველისა
მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო,
წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 11

ზეცისა ძალთა თანა აღრაცხილნო და უნივთოდსა
ნათელსა შეწყნარებულნო, ჩუენდა მეოხებად ნუ
დასცხრებით ღმრთისა მიმართ, რომელნი ესრეთ
წარუთქუამთ დიდებასა: ალილუია.

იკოსი 11

ისრაიტელნო ჭეშმარიტნო და მარადის ღმრთისა
მიმართ მძნობელნო, ზეცისა იერუსალიმისა
სურვილითა გარდარიენით გულნი ჩუენი
მღაღადებელნი
ესრეთ:

გიხაროდენ, სასუფეველისა პირმშოებასა
მიმთხუელნო;
გიხაროდენ, სრულითა სიყუარულითა განწმედილნო;
გიხაროდენ, საიდუმლოდსა სერობასა ზიარებად
შეწყნარებულნო;
გიხაროდენ, მხიარულისა სერისა მეპურისმტენო;

გიხაროდენ, ღმრთისა მეცნიერებითა წურთილნო;
გიხაროდენ, უპორცოთაებრ გონებითა თქუენითა მფრინვალენო;
გიხაროდენ, სულთა ჩუენთა ეგვპტით აღმომწოდებელნო;
გიხაროდენ, სლვათა ჩუენთა კეთილად წარმმართველნო;
გიხაროდენ, ქრისტეანეთა თანა მოგზაურნო;
გიხაროდენ, ღმრთისა მიმართ მზრახველნო;
გიხაროდენ, რამეთუ არცხვინა ღმერთმან მაჭირვებელთა თქუენთა;
გიხაროდენ, რამეთუ გამოაბრწყინვა უფალმან სიმართლჱ თქუენი;
გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა წყურიელთა მესათხევლენო და საკვრველისა მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო, წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 12

რომელსა მართალი უყუარს და ცოდვილთა სწყალობს, მას, თავადსა, ევედრენით კნინისა ამის საგალობელისა შეწყნარებაჲ: ალილუია.

იკოსი 12

დიდისა ცხორებისა მერჩულენო და საშურველითა აღსასრულითა მიცვალებულნო, თქუენ, ქუაბთა და მთათა დაუწყუედელთა ნათელთა, თქუენთა შეწევნათა მოქენენი, ესრეთ გკმოვანებთ:

გიხაროდენ, ჴორცთა შინა უჴორცოთა საზომსა მიწევნულნო;
გიხაროდენ, უაღრესისა მიმართ მისრულნო;
გიხაროდენ, საღმრთოთა მამათა რიცხუსა შეძინებულნო;
გიხაროდენ, წიაღთა შინა აბრაამისათა განსუენებულნო;
გიხაროდენ, მაღლისა ქუეყანისა მკჳდრნო;
გიხაროდენ, ღმრთისა მიერ შემკობილნო;
გიხაროდენ, ქალწულნო ღმრთეებრივნო;
გიხაროდენ, მარადის ნეტარებათა მიმართ მხედველნო;
გიხაროდენ, პირველისა მის შუენიერებისა ხატნო;
გიხაროდენ, რომელთაგან მრავალფერნი სიმდიდრენი გვისწავიეს:
გიხაროდენ, რომელთა წარმავალისა წილ წარუვალი მოიყიდეთ;
გიხაროდენ, რამეთუ აწ თქუენ თანა იშუებს თქუენ თანა მოსაგრეობითა ჩინებული დიაკონი ილია;

გიხაროდენ, ქუაბთა შინა ბევრეულთა მათ ცხოვნებისა წყურიელთა მესათხევლენო და საკვრველისა მონაზონებისა ზეაღმზიდველნო საჭურეტელნო, წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო!

კონდაკი 13

ჰოი სოფლისა მარილნო კურთხეულნო და ზუარაკნო ჭამებულნო, სათნოებისა განუცდელსა უფსკრულსა შთასრულთა ბაგენი ჩუენი აღახვენით დღე-ყოველ დიდებად ღმრთისა: ალილუია (ეს კონდაკი 3-ჯერ).

ლოცვა

ჰოი უდაბნითა შინა ტაძართა ზეაღმზიდველნო და მართლმადიდებლობისა სუეტნო უქცეველნო, ლოცვითა თქუენითა განაბრწყინვენით ღმრთივდაცული ერი ჩუენი და მეუფებაჲ მისი, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე, მამაჲ ჩუენი ილია, ყოვლადსამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი, პატიოსანი მღვდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონი, ყოველნი სამონაზნონი წესნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი.

ჰოი ღმრთისა მიერ განშუენებულნო წმიდანო ათსამმეტნო ასურელნო მამანო: იოანე ზედაზნელო, აბიბოს ნეკრესელო, ანტონ მარტყოფელო, დავით გარეჯელო, ზენონ იყალთოელო, თადეოზ სტეფანწმიდელო, ისე წილკნელო, იოსებ ალავერდელო, ისიდორე სამთავნელო, მიქაელ ულუმბოელო, პიროს ბრეთელო, სტეფანე ხირსელო და შიო მღვმელო - თქუენდა გალობად აღმსთობილნი და ტაძარსა შინა ღმრთისასა შემოკრებულნი, შეგვაწყნარენით მონანულთა მიმთუალველსა და მაცხოვნებელსა ღმერთსა ჩუენსა, რაჲთა მარადის კეთილთა მიმართ მხედველნი დაუცხრომელითა ქებითა დიდებისვმეტყუელებდეთ მას, მიუწდომელსა და გამოუთქუმელსა დამბადებელსა ყოველთასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგვწყალენ (3-გზის).

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაჲთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, შეგვწყალენ ჩუენ. ამინ.

ავტორი: დეკანოზი მიქაელ გალდავა

A
Ω